სს „სილქ ბანკი“ აცხადებს ტენდერს თბილისსა და რეგიონებში სასმელი წყლის, ერთჯერადი ჭიქების შეძენა/მიწოდებაზე, ასევე წლის დისპენსერების და ბოცების დროებით სარგებლობაში გადაცემაზე.

ტენდერის მიზანია გამოავლინოს დაინტერესებული კომპანიები, რომლებიც შეძლებენ მოთხოვნილი მომსახურების გაწევას. შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალი , რაოდენობა და მახასიათებლები მოცუმულია - დანართში №2;

ტენდერის პირობები

- წყლის მოწოდების მოთხოვნა განხორციელდება თვეში ერთხელ ცენტრალიზირებულად მიმწოდებელი მიიღებს ერთ ჯამურ მოთხოვნას;
- საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ბანკის მიერ გამოგზავნილი მოთხოვნიდან: თბილისის მასშტაბით: შეკვეთიდან არაუგვიანეს 3 (ხუთი) სამუშაო დღეში, ხოლო რეგიონების მასშტაბით: შეკვეთიდან არაუგვიანეს 5 (თხუთმეტი) სამუშაო დღეში;
- ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს მომწოდებელი კომპანია დამკვეთის მიერ მითითებულ მისამართებზე;
- მომწოდებელი ვალდებულია კონტრაქტის გაფორმებიდან სს „სილქ ბანკ“-ის ოფისს მიაწოდოს მოთხოვნილი ახალი დისპენსერები შეთანხმებულ ვადაში, კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ კი უკან წაიღოს თავისი ინვენტარი;
- წინადადებაში მითითებული ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მათ შორის დღგ და ტრანსპორტირების/მოწოდების ხარჯები საქართველოს მაშტაბით.
- ფასების მოწოდება ხდება დანართი №2 მეშვეობით;

სასმელი წყლის სპეციფიკაციები

- არაგაზირებული;
- განთავსებული, 19 ლიტრიან, ქარხნულად დაბეჭდილ, პოლიეთილენის ავზში, რომელიც თავსებადია დროებით სარგებლობაში გადმოცემულ დისპენსერთან;
- მიწოდებისას წყლის ვარგისიანობის ვადა საჭიროა შეადგენდეს არანაკლებ 5 თვეს;

ჭიქების სპეციფიკაციები

- ერთჯერადი მოხმარების პოლიეთილენის, გამჭვირვალე, 180 გრ.

დისპენსერის სპეციფიკაციები

- დისპენსერები უნდა იყოს ახალი;
- ცივი და ცხელი წყლის ჩამოსხმის ფუნქცია;
- დისპენსერის გაუმართაობის ან ახალი ოფისის აღჭურვის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს, ან ადგილზე შეაკეთოს გაუმართავი დისპენსერი ბანკის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღეში.

აუცილებელი მოთხოვნები

- კომპანიას უნდა ჰქონდეს შესაბამის სფეროში მოღვაწეობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება. ასევე, უნდა ჰქონდეს შესრულებული მსგავსი პროექტი;
- ყოველი თვის ბოლოს მომწოდებელმა შემსყიდველს სათავო ოფისში უნდა მაიწოდოს თვის განმავლობაში შედგენილი და ორივე მხრიდან ხელმოწერილი მიღება ჩაბარების აქტები ინვენტარის მოძრაობაზე, მიღება-ჩაბარების აქტები ბალონების აღრიცხვაზე, ასევე წყლის მიწოდებაზე ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადებები;
- ტენდერში მონაწილე კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს ცნობა საგადასახადო ორგანოებიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;
- წარმოდგენილი წინადადება აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ

ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული დასკანერებული სახით.

გარდა ამისა, სს „სილქ ბანკი“ განიხილავს სასმელი წყლის ფილტრაციის დისნეპსერების დროებით სარგებლობაში გადმოცემას. ფილტრაციის დისნეპსერების შემოთავაზების შემთხვევაში აუცილებელი მოთხოვნებია :

- დისპენსერი უნდა იყოს ახალი;
- ქონდეს საგარანტიო პერიოდი, რომლის ფარგლებშიც მომწოდებელმა უნდა გაგვიწიოს სათანადო მომსახურება. მაგ: დისპენსერის გაუმართაობის ან ახალი ოფისის აღჭურვის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეცვალოს, ან ადგილზე შეაკეთოს გაუმართავი დისპენსერი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღეში;
- უნდა ჰქონდეს ქონდეს არანაკლებ, ცივი და ცხელი წყლის ჩამოსხმის ფუნქცია;

აღნიშნულის შემოთავაზებისას კომპანიამ , გარდა აუცილებელი წარმოსადგენილი დოკუმენტაციებისა, უნდა წარმოადგინოს :

- დისპენერების ფოტოსურათები;
- საგარანტიო პირობები.
- შევსებული დანართი #4

სასმელი წყლის ფილტრაციის დისნეპსერების დაყენების ტექ. შესაძლებლობა და ადგილი განისაზღვრება ბანკთან ერთად.

ანგარიშსწორების პირობები

- ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის და ინვოისის მიწოდებიდან 5 სამუშაო დღეში;
- ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;
- მომწოდებელი ვალდებულია გახსნას ანგარიში სილქ ბანკში.

გამარჯვებულის გამოვლენა

სატენდერო კომიტეტი განიხილავს წარმოდგენილ ყველა სატენდერო წინადადებას და გამარჯვებულად გამოავლენს ერთ ან რამოდენიმე კომპანიას, ქვემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- შემოთავაზებული პროდუქციის ფასი;
- პროდუქციის ხარისხი/სპეციფიკაცია;
- მოწოდების ვადები;
- კომპანიის გამოცდილება.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი პროდუქცია სრულად უნდა აკმაყოფილებდეს ტენდერის პირობებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია იტოვებს უფლებას არ მიიღოს შემოთავაზება.

მომწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- დანართი N 1 შევსებული სააპლიკაციო ფორმა, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭდით დამოწმებული;
- დანართი N2 შევსებული ფასების ცხრილი;
- არანაკლებ 2 (ორი) დადებითი სარეკომენდაციო წერილი;
- მომსახურე ბანკის მიერ დამოწმებული ფინანსური ბრუნვის ამონაწერი 01/01/2021 - 01/01/2024 პერიოდზე
- კომპანიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, საქმიანობის მოკლე აღწერილობა (გამოცდილება, კლიენტების სია).

შემოთავაზებების მიღების წესი

- შემოთავაზება დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინოთ სს სილქ ბანკის სათაო ოფისის კანცელარიში, 9 თებერვალს 18:00 საათამდე, ხოლო შემოთავაზების ელექტრონული ვერსია 12 თებერვალს შემდეგ მისამართზე procurement@silkbank.ge
- მისამართი - ქ. თბილისი, ზაარბრიუკენის მოედანი N 2

დამატებითი მოთხოვნები

გთხოვთ წარმოდგენილ დალუქულ კონვერტზე მიუთითოთ:

- ტენდერის დასახელება;
- თქვენი კომპანიის დასახელება;
- საიდენტიფიკაციო ნომერი;
- საკონტაქტო ინფორმაცია (პასუხისმგებელი პირი, ტელეფონი და ელ.ფოსტა.

თანდართული დოკუმენტაცია :

დანართი N1 - ტენდერის სააპლიკაციო ფორმა
დანართი N2 – ფასების ცხრილი
დანართი N 3 - ფილიალების მისამარეთები
დანართი N 4 - ფილტრაციის დისპენსერი

დოკუმენტის მომზადება/წარდგენასთან დაკავშირებით, გთხოვთ კითხვები მოიწეროთ procurement@silkbank.ge, მისამართზე.

ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი :
შალვა ლეჟავა
ტელ : 577362888

ლოჯისტიკის სამსახურის სპეციალისტი :
ელენე მუსხელიშვილი
ტელ : 558750055

მადლობა დაინტერესებისათვის